

ხელშეკრულება N27/11/19-333/2

(CPV92300000 - გასართობი მომსახურებები; CPV92312212 - სასწავლო სახელმძღვანელოების

მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურებები)

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 25 ნოემბრის განკარგულება სსიპ

„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო

შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე -

SMP190004344

ქ. თბილისი

27 ნოემბერი 2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით,

და

მეორე მხრივ, საავტორო უფლების მფლობელები ავთანდილ საგინაშვილი (პირადი N01012008385) და თინა ბექაური (პირადი N01011061724), შემდგომში - „საავტორო უფლების მფლობელი“ (გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N333 მათემატიკა V-VI კლ.), ერთობლივად „მხარეები“,

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სა და საავტორო უფლების მფლობელ ავთანდილ საგინაშვილსა და თინა ბექაურს შორის 2018 წლის 4 აგვისტოს გაფორმებულ N04/08/18-333 ჩვეულებრივ ლიცენზიის ხელშეკრულების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საავტორო უფლების მფლობელისათვის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისად საავტორო ჰონორარის (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით) გადახდა.

1.2. ამ მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარის ოდენობა შეადგენს 6120 (ექვსი ათას ასოცი) ლარს.

